



ვებ გვერდი

30/12/2015

სარეგისტრაციო კოდი

210020020.35.152.016245

## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### დადგენილება N37

2015 წლის 25 დეკემბერი

ქ. დუშეთი

**„დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 თებერვლის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

#### მუხლი 1.

„დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 თებერვლის N6 დადგენილებაში ([matsne.gov.ge](http://matsne.gov.ge), 18/02/2015, 210020020.35.152.016213) შეტანილი იქნეს ცვლილება. კერძოდ, დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„2. ფიზიკური პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა 65 000 (სამოცდახუთათასზე) დაბალია, გათავისუფლდნენ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან.“

#### მუხლი 2.

დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს დანართი №2-ის შესაბამისად“.

„დანართი #2.

დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი იურიდიული პირებისათვის

#	საქმიანობა	ზომის ერთეული	წლიური დაგროვების ნორმა მ3	განაკვეთი თვეში (1 მ3 – 5,687ლ.)
1	M მუზეუმები, ბიბლიოთეკები	საერთო ფართის 1 მ2	0,04	0,020
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1 მ2	0,08	0,040
3	სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები, საბავშვო ბაღები(საგანმანათლებლო დაწესებულებები)	ერთ მოსწავლეზე	0,198	0,101
4	სასტუმროები	M მომსახურების ერთი საწოლი	1,72	0,878
5	საავადმყოფოები	ერთი საწოლი	1,157	0,590
6	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ2	0,12	0,061
7	სტადიონები, სპორტულ - გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ღია ტერიტორიები და მანეჟები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა) ღია ფართის 1 მ2	5000 მ2-მდე	0,02	0,010
		5000 მ2-დან – 15000 მ2-მდე	0,015	0,007
		15000 მ2-დან – 50000 მ2-მდე	0,008	0,004

		50000 მ2-ზე მეტი	0,006	0,003
8	სასურსათო საქონლის მაღაზიები	სამუშაო ფართის 1 მ2	0,50	0,255
9	სამრეწველო საქონლის მაღაზიები და აფთიაქები	სამუშაო ფართის 1 მ2	0,25	0,127
10	აგრარული ბაზრები საერთო ფართის 1 მ2	ყოველდღიურად მომუშავე	0,1	0,051
		კვირაში ერთ დღეს მომუშავე	0,024	0,012
11	ბენზინგასამართი/გაზგასამართი სადგურები	ღია ფართის 1 მ2	0,005	0,002
		დახურული ფართის 1მ2	0,08	0,040
12	სადალაქოები და სილამაზის სალონები	საერთო ფართის 1 მ2	0,35	0,178
13	სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდებარე წარმოებისას და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	საერთო ფართის 1 მ2	0,25	0,127
14	რესტორნები, სასადილოები, კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	2,4	1,225
15	საბანკეტო დარბაზები სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0,96	0,490
16	საცხოვები	სამუშაო ფართის 1 მ2	0,26	0,132
17	საავტომობილო სადგურები	ღია ფართის 1 მ2	0,008	0,004
		დახურული ფართის 1მ2	0,08	0,040
18	საწარმოო დანიშნულების ობიექტების ღია ტერიტორიები	სამუშაო ფართის 1 მ2	0,008	0,004
	არასამეწარმეო დანიშნულების	50000 მ2-მდე	0,005	0,002

19	ობიექტების ღია ტერიტორიები: ღია ფართის 1 მ2	50000 მ2-დან – 150000 მ2-მდე	0,003	0,0015
		150000 მ2-დან – 200000 მ2-მდე	0,0025	0,0012
		200000 მ2-ზე მეტი	0,0003	0,000153
20	მოხუცებულთა სახლები, ბავშვთა სახლები	ერთი საწოლი	1,157	0,590
21	ა/მანქანების სარემონტო სადგურები, ტექ-მომსახურების ადგილები	ღია საერთო ფართის 1 მ2	0,02	0,010
		დახურული ფართის 1 მ2	0,14	0,071
22	სამხედრო ნაწილები	ერთი ადგილი	0,8	0,40
23	სკოლა-პანსიონები	Mმომსახურების ერთი საწოლი	1,72	0,878
24	ჯართის მიმღები პუნქტები	საერთო ფართის 1 მ2	0,01	0,005

შენიშვნა:

მოსაკრებლის გაანგარიშების ფორმულა:

$$m = \text{წ. დ. ნ.} / 12 \times \text{ტ.}$$

m – მოსაკრებელი ერთ თვეზე.

წ. დ. ნ. – ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა.

ტ – 1 მ<sup>3</sup> ნარჩენის შეგროვება, ტრანსპორტირების ტარიფი.“

### მუხლი 3.

დადგენილება ძალაშია 2016 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი